ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2

ერთის მხრივ: სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ **ნაგარევის საჯარო სკოლა,** მისი დირექტორის მ/შ **ნინო გუბელიძის** სახით ; მისამართი: თერჯოლა სოფელი ნაგარევი; საიდენტიფიკაციო კოდი: 232004773 ; საბანკო რეკვიზიტები: LBRTGE22 , ბანკის კოდი:, ა/ა: GE09LB0121115352220000 (შემდგომში "შემსყიდველი") და

მეორეს მხრივ: მიმწოდებელი: **შპს გურიამშენი** , მისი დირექტორის **აკაკი სალუქვაძის** სახით ; მისამართი: ოზურგეთი ლიხაური მე–3 ქ. N 36 ; საიდენტიფიკაციო კოდი: 437067978 ; საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22 , ბანკის კოდი:, ა/ა: GE39BG0000000162037638

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა **სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს - ხელშეკრულება № 320701-667 -ის ფარგლებში.** (ორგანიზაციული კოდი: 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები) 2023 წლის 19 დეკემბერს გამოაცხადა NAT230026488 ელექტრონული ტენდერი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის (CPVკ)ოდი:45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები) და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: **29908,94ლ** დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-თი კი (29908,94+დღგ18%(5383,6ლ)=) **35292,55 ლარს (ოცდათხუთმეტიათასორასოთხმოცდათორმეტი ლარი 55 თეთრი)**

(ჩასატარებელი სამუშაოების მოკლე აღწერა: სკოლის შენობის აღმოსავლეთ მხარეს მოსაწყობია საქვაბეს შენობა. საიდანაც მილები უნდა შევიდეს სკოლის შენობაში. მდებარეობიდან გამომდინარე საქვაბე კარგად უნდა იყოს შეფუთული, რათა არ მოხდეს ყინვისაგან ფუნქციონირების გაჩერება ან შეფერხება. შენობის კედლების გაბურღვა უნდა მოხდეს პროფესიონალურად, კედლის მინიმალური დაზიანებით. (მცირედი დაზიანების შემთხვევაშიც კი უნდა მოხდეს დაზიანებული ადგილის კოსმეტიკურად დამუშავება.). უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ კი საჭირო გახდა მცირე ოდენობის მეტლახის აღება მილების გასატარებლად. აღნიშნულ ადგილას ისევ უნდა დაიგოს შესაბამისი ხარისხისა და შეფერილობის მეტლახის ფილები. როგორც მილები, ასევე გამათბობლები უნდა დამონტაჟდეს მაქსიმალურად მტკიცედ, რათა იოლად არ მოხდეს ბავშვების მიერ მათი დაზიანება. სისტემა ისე უნდა დამონტაჟეს რომ მაქსიმალურად გათბეს ყველა ოთახი. სამუშაოები უნდა წარიმართოს კანონმდებლობის ზუსტი დაცვით. ასევე ხელი არ შეეშალოს სწავლის პროცესს. საქვაბეს მოწყობა უნდა მოხდეს „გაზის სამსახურის" რეკომენდაციების გათვალისწინებით.)

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 ორივე მხარის წარმომადგენელი სრულად გაეცნო ხელშეკრულებას და ეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს: ა) ხელშეკრულების პირობები ბ) ხელშეკრულების დანართები (1-n); გ) პროექტ(ებ)ი (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს); დ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს); ე) ხარჯთაღრიცხვა (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს); ვ) ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ (წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს);

1.3. მიმწოდებელი თანხმდება შეუსრულოს შემსყიდველს სამუშაოები ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4 მიმწოდებელი ადასტურებს, რომ არსებითად განიხილა საპროეტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაძლებლად მიიჩნევს სამუშაოების შესრულებას პროექტის განსაზღვრული პირობებითა და ვადების დაცვით.

1.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, აცნობოს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, რომლებაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოთა შეფერხება ან ხელი შეუშალოს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას;

1.6. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

1.7. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 კალენდარულ დღეში, 2024 წლის 30 იანვრიდან 2024 წლის 1 მარტის ჩათვლით.

1.9. **წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით.**

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ''(შემდგომში _ ,,ხელშეკრულება'') _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

2.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4. ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5. „დღე", ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები ფორმდება მხოლოდ წერილობით, შეთანხმების ოქმის ფორმით და დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით;

3.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ბათილია ნებისმიერი ზეპირი შეთანხმება ან მითითება, რომელიც ორივე მხარის მიერ წერილობით არ იქნა დადასტურებული;

3.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების ოქმის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

3.4. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმება არ ფორმდება;

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების ჯგუფის, კომისიის წევრების ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ;

4.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ფორმას განსაზღვრავს შემსყიდველი;

4.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი ხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

4.4. მიმწოდებელი უზრუნველყოფს სამშენებლო მოედანზე ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების ვადების დაცვას და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;

5.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობას და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში მიწოდების ვადებში შეაქვთ სათანადო ცვლილებები ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

5.3. ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები; სამუშაოები უნდა იყოს შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს პროექტის მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების (მოქმედების ვადის მქონე), შესრულებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის (აკრედიტირებული ლაბორატორიების მიერ გაცემული) შედეგების/დასკვნების (ლაბორატორიული კვლევების ხარჯებს იხდის მიმწოდებელი) წარმოდგენა და მათი მიკვლევადობა. სერტიფიკატების უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა(საბურღი სამუშაოებით გამოწვეული დაზიანებების კოსმეტიკურად დამუშავება....);

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური;

5.8. სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

5.9. მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს გამოსაყენებელი მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა/ლაბორატორიული გამოცდა აკრედიტებულ დაწესებულებაში, რის შემდგომაც შესაბამისი დასკვნა, ანგარიში, სერტიფიკატი და სხვა წარედგინება ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, გათბობის სისტემის შემოწმებისას სასურველი შედეგის (ყველა ოთახში სათანადო ნტემპერატურის) მიღების შემდეგ, მომწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, ასევე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ; (მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით აკეთებს ექსპერტიზას ტენდერის პირობების მიხედვით).

6.2. მიღება-ჩაბარების აქტს, მიმწოდებლის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულების ხელმომწერი ან მისი უფლებამონაცვლე პირი. შემსყიდველის მხრიდან - სკოლის დირექტორი, ანდა მის მიერ განსაზღვრული პირი.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს შუალედური შესრულების აქტი (ფორმა #2 და ფორმა #3), შუალედური აქტში შეტანილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა დადასტურებული უნდა იქნას ხელშეკრულების ტექნიკური ზედამხედველის ან შესაბამისი აკრედიტირებული საექსპერტო დაწესებულებიდან გაცემული დასკვნით;
6.4. მიმწოდებლის მხრიდან შუალედური შესრულების აქტს (ფორმა#2 და ფორმა #3) მიმწოდებლის სახელით ხელს აწერს ხელმძღვანელი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან- სკოლის დირექტორი, ანდა მის მიერ განსაზღვრული პირი.

6.5. მიღება-ჩაბარების აქტში ან შუალედური შესრულების აქტში ხარვეზის ან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხევაში, შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ამის შესახებ;

6.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს ხუთ კალენდარულ დღეში აღმოფხვრას ხარვეზები, რა პერიოდშიც იგი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით ან/და მე-6 მუხლის 6.4 პუნქტით განსაზღვრული პირები;

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს აძლევს გარანტიას შესრულებულ სამუშაობზე, #2 დანართის შესაბამისად, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ექსპლოატაციის წესები;

7.2. ამ მუხლის საჭიროებისათვის განკუთვნილი ექსპლოატაციის წესები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თან უნდა ერთვოდეს მიღება-ჩაბარების აქტს. სხვა შემთხვევაში, გარანტია ითვლება უპირობოდ;

7.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელი, ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.4. საგარანტიო პერიოდ(ებ)ი განისაზღვრება N2 დანართით (მინიმუმ 2 წელი).

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაზარდი ჯამით დღგ-ს გათვალისწინებით. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება;

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს სკოლის დასახელება, ტენდერის და ხელშეკრულების ნომრები. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს მისი დადასტურება;

8.3. ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება - საავანსო, შუალედური და საბოლოო;

8.4. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით,

8.5. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია“(ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

8.6. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად;

8.7. შუალედური ანგარიშსწორება (არაუმეტეს 50%) ხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2, ფორმა N3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

8.8. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენას უზრუნველყოფს მიმწოდებელი. საექსპერტო მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს მიმწოდებელი. შემსყიდველი უფლებამოსილია საბოლოო ექსპერტიზის დასკვნის

წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.9. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის და ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზა, საჭიროებისამებრ, ტარდება მიმწოდებლის დაკვეთით;

8.10. თუ შემაჯამებელი ანგარიშსწორების განხორციელების მომენტისთვის, მიმწოდებელს არ წარმოდგენს დოკუმენტურ დასტურს, რომ ამ ხელშეკრულების 5.9 და 5.10 პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია ან, ყველა ხარჯი ანაზღაურებულია, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს შესაბამისი ხარჯები ასანაზღაურებელი თანხიდან;

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება;

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ადგილზე. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა და ამოქმედების პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასრულების საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით;

10.4. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მახარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი; 10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში: ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დაწყების ვადის 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტ(ებ)ზე სამუშაოების დასრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში. დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10.7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) მიმწოდებელი, ყოველ შემთხვევაზე, ჯარიმდება, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.05%-ის ოდენობით;

10.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (არაჯეროვანი ან ნაწილობრივი შესრულებისას) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.9. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების 8.8 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გადახედვის თაობაზე;

10.10. ამ მუხლის 10.6 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

10.11 ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოთა დაგეგმილ ვადაში დასრულებას და არ იფარება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიითა და პირგასამტეხლოს თანხით;

11. ქვეკონტრაქტორი

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.2 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.3 ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

11.4 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
სსიპ ნაგარევის საჯარო სკოლა	**შპს გურიამშენი**
ს/კ 232004773	ს/კ 437067978
მის: თერჯოლა სოფელი ნაგარევი	მის: ოზურგეთი ლიხაური მე–3 ქ. N 36
	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE39BG0000000162037638
ტელ: 577653226	ტელ: 599922249
	akaki.saluqvadze@bk.ru
ელ.ფოსტა: Nagarevi@mes.gov.ge	
დირექტორის მ.შ. **ნინო გუბელიძე**	დირექტორი: **აკაკი სალუქვაძე**
---	---

ინფორმაცია საგარანტიო ვადების თაობაზე

წინამდებარე ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოებზე/დანადგარებზე საგარანტიო ვადად განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 2 წელი.

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: **სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ-ნაგარევის საჯარო სკოლა** ს/კ **232004773** მის: თერჯოლა სოფელი ნაგარევი ტელ: 577653226 **დირექტორის მ.შ: ნინო გუბელიძე** _____	**მიმწოდებელი:** **შპს გურიამშენი** ს/კ 437067978 მის.: ოზურგეთი ლიხაური მე–3 ქ. N 36 ტელ.: 599922249 ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE39BG0000000162037638 akaki.saluqvadze@bk.ru **დირექტორი: აკაკი სალუქვაძე** Akaki Salukvadze 33001011438 Digitally signed by Akaki Salukvadze Date: 2024.01.30 11:28:50 ბ.ა